ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6684193

ნომერი: AR1990276

თარიღი : 18.09.2023

გაცემის თარიღი : 28.09.2023

გაცნობის თარიღი : 28.09.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილის ზემო პლატო , მიკრო/რაიონი II , კორპუსი N1-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , ზემო პლატო , მიკრო/რაიონი II , კორპუსი N1-ის მიმდებარედ , ნაკვეთი N02/066 ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , ზემო პლატო , მიკრო/რაიონი II , კორპუსი N1-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 02/067; ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მიკრო/რაიონი II , (ნაკვეთი 02/057); ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , ზემო პლატო , მიკრო/რაიონი II , კორპუსი N1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ხოჭოლავა პ/ნ 01029000588
- თბილისი, მოსკოვის გამზ, კორპ. 1, ბინა 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 18 სექტემბერს №AR1990276 განცხადებით მომართა ვახტანგ ხოჭოლავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 15 სექტემბერს №6664491 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 სექტემბერს №6664491 ბრძანებით №01.19.20.002.029; №01.19.20.002.057 და №01.19.20.002.068 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2023 წლის 15 სექტემბერს №6664491 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. ვინაიდან, საპროექტო №01.19.20.002.057 საკადასტრო ერთეულსა და მის მომიჯნავედ არსებულ №01.19.20.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს, უკანა ეზოს დადგენა არ უნდა მომხდარიყო. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთებს საზოგადოებრივი საზღვრები გააჩნია ჩრდილოეთით და დასავლეთით და უკანა ეზოც განისაზღვრა აღნიშნულის შესაბამისად. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 30 დეკემბრის N16-01213641021 წერილით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის მიხედვით, ზემოაღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს გზას/ქუჩას. ამდენად, უკანა ეზოს დადგენასთან დაკავშირებით სამსახურის 2023 წლის 15 სექტემბერს №6664491 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2023 წლის 15 სექტემბერს №6664491 ბრძანებაში უკანა ეზოს დადგენასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და სამსახურის 2023 წლის 15 სექტემბერს №6664491 ბრძანებაში უკანა ეზოს დადგენასთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.